



გალტი & თავარიძე

შპს-ს მენეჯერების კონსულტინგის კომპანია



ნედლეულის ბაზრის კვარტალური მიმოხილვა

4 აპრილი 2025




ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი

ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2025 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	227.5	-4.2%	+3.9%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	74.7	+2.1%	+0.1%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,658.7	+3.4%	+11.6%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,155.0	-1.7%	-4.1%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,459.6	+1.7%	+8.5%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	3,123.6	+9.3%	+19.0%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	44.3	-4.8%	-15.4%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	248.0	+1.2%	+7.4%	

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2025 წლის 31 მარტი მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

ნავთობის ფასი თითქმის უცვლელი (+0.1%) იყო 1კვ25-ში და ერთ ბარელზე \$74.7 შეადგინა. მიუხედავად ამისა, კვარტლის განმავლობაში (და აპრილის პირველ დღეებში) ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანი მერყეობა დაფიქსირდა. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი და OPEC-ის გადაწყვეტილებები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, დამატებით კი ბაზარზე ახალი ფაქტორი გაჩნდა ტრამპის ადმინისტრაციის სახით.

2025 წლის იანვარში ისრაელსა და ჰამას შორის მიღწეულმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ ფასების დასტაბილურებას შეუწყო ხელი. თუმცა, შეთანხმება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა - ლაზარს სექტორში სახმელეთო ოპერაციები მარტში განახლდა, რამაც კვლავ გააჩინა ნავთობის ფასში გეოპოლიტიკური რისკის პრემიუმი. დამატებით, რეგიონში შესაძლოა ახალი კონფლიქტის კერა ჩნდებოდეს - ამჯერად აშშ-სა და ირანს შორის. პრეზიდენტ ტრამპმა ირანს ახალი ბირთვული შეთანხმების მისაღწევად შუა მაისამდე მისცა დრო. პრეზიდენტის მიხედვით, თუ შეთანხმება არ შედგება, „იქნება დაბომბვა“. ეს ახლო აღმოსავლეთის არსებული კონფლიქტის მნიშვნელოვანი ესკალაცია იქნება. თუმცა, ნავთობის ბაზარზე ინვესტორები, ამ ეტაპზე, სუსტ ფუნდამენტურ ფაქტორებზე არიან კონცენტრირებული.

2 აპრილს, „გათავისუფლების დღეს“, პრეზიდენტმა ტრამპმა ახალი, მრავლისმომცველი ტარიფები გამოაცხადა თითქმის ყველა ქვეყნის პროდუქციაზე. ეს პაკეტი, რომელიც შექმნილია ვაჭრობის დინამიკის შესაცვლელად, რისკებს აჩენს გლობალური ეკონომიკური ზრდის პოტენციური შენელების და, შესაბამისად, ნავთობის მოთხოვნის შესახებ. შემცირებული სამრეწველო აქტივობა, განსაკუთრებით ისეთ დიდ ეკონომიკებში, როგორცაა ჩინეთი, ბუნებრივად ამცირებს ნავთობის მოთხოვნას.


3 აპრილს ნავთობის ფასი უკვე 4%-ით იყო შემცირებული, როდესაც OPEC+-მა წარმოების მოსალოდნელებზე მსხვილი ზრდა გამოაცხადა. ბაზარი დღეში 122 ათასი ბარელით ზრდას ელოდა, მაგრამ საბოლოოდ 411 ათასიანი ზრდა დაანონსდა 2025 წლის მაისიდან. ეს ორდღიანი დინამიკა მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ფასებზე, რაც გამოწვეულია ფუნდამენტური ფაქტორების სისუსტით. მნიშვნელოვანია, რომ ეს წნეხი შესაძლოა საკმარისად დიდი აღმოჩნდეს, პოტენციური აშშ-ირანის ესკალაციის ეფექტების შესამცირებლად.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ენერგეტიკა

ბუნებრივი აირი


ბუნებრივი აირის ფასი 15.4%-ით შემცირდა 1კვ25-ში. მიუხედავად კვარტალური ვარდნისა, 2025 წელი გარკვეული ვოლათილობით დაიწყო, რაც გამონვეული იყო უკრაინა-რუსეთის სატრანზიტო შეთანხმების შეწყვეტით და ცივი ამინდით.

უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტი 2025 წლის 1 იანვარს შეჩერდა. თავდაპირველად, ბაზრის რეაქცია დაბალი იყო, რადგან ევროპის გაზის მარაგები საკმარისზე მეტი იყო. თუმცა, მოსალოდნელზე ცივი ამინდის გამო, საცავები ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად იცლებოდნენ. შესაბამისად, გაჩნდა რისკები სამომავლო მიწოდებასთან დაკავშირებით. მოლოდინების მიხედვით, ევროპის გათბობის სეზონი საგრძნობლად დაბალი მარაგებით დასრულდებოდა, რაც ზაფხულში უნდა შევსებულყო. ვინაიდან კონტინენტი კონკურენციას უწევს აზიას თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) შესყიდვებისთვის, მაღალი მოთხოვნის მოლოდინმა ზაფხულის ფიუჩერების ფასი გაზარდა.

მოგვიანებით, რუსეთ-უკრაინის ომში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების იმედებმა ხელი შეუწყო ფასების დასტაბილურებას. გარდა ამისა, გაჩნდა ცნობები, რომ ომის დასრულების შემდეგ რუსული გაზის ევროპაში დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა. მისი განხორციელების რეალურობა კი, ამ ეტაპზე, ნაკლებად სავარაუდოა.


კვარტლის ბოლოს ამინდი დათბა, რამაც ევროპაში მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. დამატებით, გაუარესდა აზიური მოთხოვნის მოლოდინები. მაგალითად, ჩინურ ტერმინალებში იმპორტი უკვე იკლებს. შესაბამისად, სავარაუდოა რომ ევროპა მომდევნო თვეებში LNG-ის შეძენას მოსალოდნელზე მარტივად შეძლებს.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


ოქროს ფასი 19.0%-ით გაიზარდა 1კვ25-ში. ძვირფასი ლითონი ახალი რეკორდების დამყარებას 2025 წელსაც განაგრძობს, რაც იმავე ფაქტორებითაა გამოწვეული, რაც მას ბოლო სამი წლის განმავლობაში ეხმარება - ცენტრალური ბანკები და რისკების ჰეჯირება.

ბოლო წლებში ცენტრალური ბანკები ოქროს ყიდულობენ, როგორც მათი რეზერვების დივერსიფიკაციის ინსტრუმენტს. მათი წლიური შესყიდვები ბოლო სამი წლის განმავლობაში მუდმივად 1,000 ტონას აღემატებოდა. მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) თანახმად, ეს ტრენდი ჯერ არ დასრულებულა. მათი მონაცემებით, ცენტრალური ბანკები 2025 წელსაც განაგრძობენ შესყიდვებს. დამატებით, ტრამპის პოლიტიკა (რომელმაც შესაძლოა დოლარი შეასუსტოს) ახალი სტიმულია ბანკებისთვის, რომ დოლარის რეზერვების დივერსიფიკაცია ძვირფასი ლითონის გამოყენებით მოახდინონ.

ოქროზე, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტზე მოთხოვნა იზრდება. სატარიფო ომის ესკალაციის შესაძლებლობა უარყოფითად აისახება ინვესტორების განწყობაზე აქციების ბაზრების მიმართ, რადგან ბევრი კომპანია შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზარალებდეს შესაბამისი რისკებით. აქედან გამომდინარე, ინვესტორები ამჟობინებენ ინვესტიციების გარკვეული ნაწილი შედარებით უსაფრთხო აქტივებში გადაიტანონ, როგორცაა ოქრო.


ოქროს ფასის ზრდა აქამდე მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში ხდებოდა, რაც, თეორიულად, მეტალისთვის ნეგატიური ფაქტორი უნდა ყოფილიყო. ოქროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტი, მიზიდველობის თვალსაზრისით, ნაკლებად სარისკო სუვერენული ობლიგაციებია (ძირითადად აშშ-ს სახაზინო), რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მაღალ საპროცენტო შემოსავალს იძლეოდნენ. თუმცა, ახლა განაკვეთების შემცირების ციკლია დაწყებული. აშშ-ს სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, შემცირდება, რაც დამატებით ზრდის ოქროს მიზიდველობას.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

ამონიუმის ნიტრატის ფასი 3.9%-ით გაიზარდა 1კვ25-ში. ფასების დინამიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბუნებრივი აირის ბაზართან (აზოტოვანი სასუქების წარმოების ძირითადი კომპონენტი), თუმცა გარკვეული ჩამორჩენის ეფექტით. წლის დასაწყისში გაზის ფასების ზრდის გამო, ამონიუმის ნიტრატის ფასი ტონაზე \$242,5-მდე გაიზარდა, მას შემდეგ კი კლების ტრენდი ფიქსირდება. მომდევნო თვეების განმავლობაში, გაზაფხულის მოთხოვნის ზრდა და წარმოების ხარჯების შემცირება, სავარაუდოდ, ერთმანეთს დააბალანსებს.

ხორბალი

ხორბლის ფასი 7.4%-ით გაიზარდა 1კვ25-ში. ბაზარი კვლავ მგრძნობიარე იყო ამინდის ცვლილებებისა და მიწოდების პოტენციური შეფერხებების მიმართ. აგრო პროდუქციის ვაჭრობაზე აშშ-ს ტარიფებმა დამატებითი რისკები გააჩინა ბაზარზე. სხვა ქვეყნების საპასუხო ზომები კითხვებს აჩენს მომავალ მიწოდებასთან დაკავშირებით. 2კვ25-ში ინვესტორები ყურადღებით დააკვირდებიან თესვისა და აღრეული მოსავლის განვითარების პროცესს, ფასების მომავალი დინამიკის დასაზუსტად.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

სპილენძის ფასი 11.6%-ით გაიზარდა 1კვ25-ში. კვარტლის განმავლობაში ტრეიდერები მეტალის ლონდონიდან ნიუ-იორკში გადატანას ჩქარობდნენ ტარიფების მოლოდინში, რამაც ორივე ბირჟაზე ფასები გაზარდა. მოთხოვნა, სავარაუდოდ, კვლავ გაიზრდება. ტრეიდერების მიხედვით, აშშ-სა და ევროკავშირის სპილენძის დიდი რაოდენობა ესაჭიროებათ ელექტრო ქსელების განახლებისთვის. დამატებით, ევროპის გადაიარაღების პროცესს დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს მეტალზე, რადგან ის ფართოდ გამოიყენება მრავალ სამხედრო აღჭურვილობაში.

ფეროსილიკონი


ევროპული ფეროსილიკონის ფასი 8.5%-ით გაიზარდა 1კვ25-ში, ხოლო ჩინური 4.1%-ით შემცირდა. ევროპაში სამრეწველო აქტივობის ზრდისა და რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების მოლოდინი დადებით როლს თამაშობს. საპირწონედ, ჩინეთში უძრავი ქონების სექტორი კვლავ ღრმა კრიზისშია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ რამდენიმე მსხვილი სტიმულის პაკეტი გამოაცხადა, განხორციელების რეალური ვადები და, რაც მთავარია, ეფექტი ჯერ კვლავ უცნობია.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლებელია მისი წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლებელია მხარის უპუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქვალადის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge